ეროვნული ბიბლიოთეკა


# სახალხო გაზეთი

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 182. კვირა, 12 დეკემბერი 1910 წ. დამატების № 31


## გამოსალმება

ნიკოლაუს ლენაუსი

მშვიდობით ჩემო, საყვარელო, სამშობლო მხარევ,
უკანასკნელად,—დამცირებულს,—მოგიძღვნი სალამს!
შენც გეთხოვები, მოდუდუნევ, ლალო მდინარევ...
მხოლოდ სულელი და სულ-მოკლე ქედს უხრის მტარვალს...

ბავშვსა აკვანში ტკბილ ნანინას მიგალობებდი,
სატრფო გულისა შეათვისე ჩემს ნორჩ ბუნებას,
ჟამსა ყრმობისას შენს კალთაზე განვისვენებდი,
მხოლოდ ვაჟკაცი რად მომაკლე თავისუფლებას?

როს ნადირთ ჯოგი ტყეს მოარღვევს ზარით, ღრიალით,
ჰირქვე ემხობა მონადირე და ინაბება,
იცდის მთრთოლვარე, მოუთმენლად, გულს ფრთხრიალით,
ვიდრე ფეხის ხმა შემზარავი სულ არ მისწყდება.

ასე ემხობი შენც სამშობლოვ, ჰოი ბედკრულო,
ოდეს ანაზდად ბრძანებული გიახლოვდება,
შემკრთალი იცდი, ინაბები, ვითა უსულო,
ვიდრე ზვიადი შენს მიდამოს არ განშორდება.

გასცურდი, ნავო, ვით ლაჟვარდზე ღრუბელი მალი,
მიჩვენე მხარე მთლად უჩვევი განადგურებას,
ზღვაო, წალეკე ის უბსკრულის გარდაუვალი,
დღემდე რომ—ტანჯულს—მაშორებდა თავისუფლებას.

ეს შენ ხარ მხარევ, აღთქმულ ქვეყნად გულს დასახული,
მზე აფრიალებს სხივით ნაქსოვ გაშლილსა ალამს;
მას ვერას ავნებს შავი ტალღა გაშმაგებული...
და შენ, სამშობლოვ, აღტაცებით მოგიძღვნი სალამს!

ა. შანშიაშვილი.

ამური და ψსიხეა. — ქანდაკება კანოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



† ვახტანგ თულაშვილი.

მგოსნის ჩვენება. — სურათი ა. გოლცისა.

# სიმღერა

I.

როს ცის კიდეს ბნელი ჰფარავს,
გაუშლია ფრთა ყრუ დუმილს,
სასოება დაუჩრდილავს
შავ სუდარას, საფლავის ჩრდილს,
როს სოფელი გმინავს მწარედ,
ხვედრთან ბრძოლით მოქანცული;
ჭოტი ჰკივის სამსხვერპლოზე,
ჯოჯოხეთის მოციქული!
როს დემონი, ფრთა გაშლილი,
დაჰყიალობს მთელ ქვეყანას
და ხარხარით ამცნებს სოფელს
ბნელ სიკვდილის გამოცანას;
როს გრიგალი ზღვასა არყევს,
ჰგორავს ზვირთთა ლეგიონი;
და ჩემს მწირ ნავს შთანთქმას ამცნებს
ბუნებისა სტიქიონი,—
ნუ შეგაკრთობს, სულო, იმ დროს
ღამთ სიმწარე ცვალებადი:
ისევ მალე გაგახარებს
გაზაფხულის განთიადი...

II.

როს მზე მნათობს, სხივ გაშლილი,
აფერადებს მთა და ველსა,
სიო დაჰქრის საამური,
ყვავილს სტაცებს ნაზ სურნელსა,
როს ცად მიჰქრის გრძნობა წმინდა,
მგოსნის გული ჰკვნესის ჩანგად
და სირთ სტვენა საამური
შორს გაისმის ტრფობის ჰანგად,—
ნუ, ნუ გჯერა სულო, იმ დროს
წუთი სოფლის ნეტარება:
დღეს ღიმილი საოცნებო
ხვალ.—სამარედ შეგეცვლება!..

ს. ფაშალიშვილი.

# მე ვისურვებდი...

მე ვისურვებდი: განმესვენა ოცნების ფრთებზე,
ჩუმად, შენს გვერდით, დამელია სული ტანჯული,
შვების ღიმილი დამკვდომოდა ნელ ნელ ლაწვებზე,
ნიავს ემღერა ტფრობის ჰიმნი, ჩემგან ნატრული.
მე ვისურვებდი: ნიავ ტალღად ვეფცი ზენას,
ნარნარი სახე ჩამეკოცნა, ზედ დავკდომოდი,
ცხოვრებისაგან მოკლებული შვებას და ლხენას,
გრძნეულ სტიქიად კვლავ ცხოვრებას დავბრუნებოდი.
მე ვისურვებდი: სიყვარულის სიმად ქცეული,
გავბმოდი, ტურფავ, შენს ნეტარ ჩანგს, შენსა ფანდურსა,
ზე-აღმედგინე და—სიცოცხლე შენში დახშული,—
კვალად აღმიგზნო, წარეტაცნე ჰიმნს საამურსა.
მე ვისურვებდი: თუ სიკვდილი მიახლოვდება,
შენ ჰყოფილიყავ ჩემთა გრძნობათ უტყვი სამარე,
ჰანგად აგეწყო ჩემი ცრემლი, ჩემი გოდება,
უკანასკნელად გეთქვა ჰიმნი, ჰიმნი მწუხარე!

ნ. ჩხიკვაძე.

# ფიქრთა ტალღავ!

ყვავილებში ჩამალული
მოჩუხჩუხებს ნაკადული;
მუშკ ამბართა აღმა-კმევა
ვერცხლის ცვრებად მოიბნევა,
და დუდუნი გრილ სიოსი
მშვენებაა მსოფლიოსი.

ფიქრთა ტალღავ! ხმა, ხმა გამე;
გამინათე ბნელი ღამე,
კოცნას კოცნით უპასუხე...
დაჰკარ, ტალღავ, დაიქუხე.—
მსურს ეგ ხმები საუცხოვო
ჩემს ნაღველში ამოვქსოვო.

ი. გრიშაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელეგია

ვარსკვლავნი ჰკრთიან, სავსე მთვარე სხივს აფრქვევს
მკრთალად,
შავი ჩუცვამთ, სევდიანად, გაშლილსა მინდვრებს;
ნიავი ნელი ნანას უმღერს, ფიდამოს წყნარად,
შორს, მთა მდუმარე მისკენია შავ-ბნელისა ფიქრებს.
ეს ჟამი არის ჟამი გლოვის, ჟამი გოდების,
არეს ჰპატრონობს გულის მკვლელი, მწარე დუმილი;
მხოლოდ, ხანდასმით გამეფებულ სიწყნარეს არღვევს
მწუხარე მგოსნის მოთქმა-კვნესა, სულის ჩვილი!

ა. გაფრინდაშვილი.

# ზღვისა კიდეს

ლექსი პირველი

ზღვის გული არის ჩემი მიჯნური,
მიძინებული ჯადოსნურ ძალით,
მშვიდი, მდუმარე, და ეს დუმილი
ჰფერფლავს ჩემს გულსა მგზნებარე ალით.
და იმავე ზღვით ამოხვეპილი
უცხო ქვეყანა იმისი თვალნი,
მათ ვარსკვლავები ვით შეედარნენ;
ცისა გულ-მკერდზე სჩანან ფერ-მკრთალნი.
ზღვამ წარიტაცა ჩემი საუნჯე,
უცხო ქვეყანას, უცხო მხარესა,
დავშთი მის კიდეს და კვნესა ჩემი
ღლით მზესა სწვდება, ღამით—მთვარეს.
ზღვაო, სად არის მიჯნური ჩემი,
რომელ ზვირთებსა მოჰფარდა ისა?
ფსკერს დაიძირა, თუ მიჰქრის ლაღი—
მის კულულს არხევს ამბორი ცისა...
დე, შენა გყავდეს, ჩემი მიჯნური,
ზღვაო, დავშთები მე შენსა კიდეს,
ვიმღერ ბრძოლის ჰიმნს და იმის აჩრდილს
მოვუქსოვ ჩაჩქანს, მოვუქსოვ რიდეს.

ლექსი მეოთხე

ტალღას გადმოჰყე ალმოსავლეთით,
ჩემს სამშობლოში ზღვით შემოსცურდი...
ოდეს გიხილე, ცეცხლად აღვეგზენ,
იესოს ვნებად ჩემს სულს მოსწყურდი.
ცაზე ვარსკვლავნი რათა სხლტებიან—
მყინვარმა ცივმა არ უწყს, არ იცის,—
არარას მეტყვი და ჩემი გული
შენს სამსხვერპლოზე თრთოლვით დაიწვის.
როდის მიპოვნის ჩემი მიჯნური
და მეც ვნების ზღვას დავემონები,
მივიყრდნოფ გულზე, ნეტარის თრთოლვით
აყრილ ულვაშზე დავეკონები.
თუ ცამ დაჰკარგა უცხო სილურჯე,
ზღვაში ჩაეშვა, გაცივდა მზეცა.
და თუ ვინც მიყვარს აღარა სცოცხლობს,
თუ არ მომკვდარა—მოვკვდები მეცა
დე ჩემი სული ივლტოდეს მარად,
გადაჰყვეს ზღვის ჭავლს, ტალღას მქუხარეს,
გადაექსოვოს სამარადისოდ
უდაბნოს ქვიშას, გრიგალს მწუხარეს.

ბაბილინა.

# ყვავილი

ოცნების ჩანგის მესმოდა ჟღერა,
ფრინველთ მაყრიონს გაჰქონდა ბგერა,—
ოჰ, შემიყვარდა მაწინ ბუნება,
უცხო სიტურფე, უცხო სიმღერა.
მწვანე ბუჩქებში მარტოდ-მარტო ვარ,
ნაზი ნიავი მიკოცნის თვალებს,
ირგვლივ გაშლილი ველი ირხევა,
ფრინველთ მგოსანი ხმას არაკრაკებს...
რა მშვიდად ვცხოვრობ! მე ამ მხარეში
დედოფალი ვარ მარად სვიანი,
მაგრამ ერთი რამ მხოლოდ მაღონებს—
აქ მოდის ხოლმე ადამიანი.

ი. მჭედლიშვილი.

# ზემოდგომის ღამეს

სიო, სად მიჰქრი?
მო, მწარე ფიქრი
ამ მალალ მთასა გადაატარე,
ნაკადის ტალღებს,
შავ ფიქრთა წამღებს
შეეხმატკბილე... ტყეს ჩააბარე
მხოლოდ ამას გთხოვ, შენ გეთაყვანე,
შორს გამაფრინე სულ უცხო მხარეს,
თან წარმიტაცე, თან წამიყვანე,
იქ, სადაც სატრფო ცრემლს აფრქვევს მწარეს!

კ. აბაშისპირელი.

# ჩუ, ნიავო!..

გულნატკენი, სევდიანი, მწარედ სტირის ნაკადული,
კლდეს პიტალოს მკერდს უკოცნის და უტოკავს გრძნობით გული.
ნელად ღელავს ველ-მინდორი, საოცნებოდ მოქარგული,
და ძილის-პირს აღტაცებით სიო მღერის, მთის ასული!..
ჩუ, ნიავო!., შენი კვნესა სევდის ლახვრად გულსა მხვდება.
სიხარულის ჩაკვდა ჩანგი... შვების ჩანგურს სიმი სწყდება!..
ჩუ, ნიავო! მშობლის მწარე ქვითინი შორს... შორს ანთქმა!
ქურუმნი ძირს ეცემიან... სამსხვერპლოზე ცეცხლი ჰქრება!..

ვ. გორგაძე.

## DE AMORE

მიყვარხარ, — მძულხარ

პეტრ ალტენბერგისა.

მიყვარხარ! მიყვარს შენი მკრთალი ცისფერი აბრაშუმის ჩულქები! მიყვარს შენი ნაზი თეთრ მადარმარქის ტანსაცმელი. მიყვარს შენი აბრაშუმის ქამარი; შენი გრძელი და კოხტა შლეიფი.

მიყვარხარ!

მიყვარს შენი საყვარელი დედოფლები, მილრიდა, ბები და დოროთეა, რომელთაც გულში იხუტავ და ეუბნები: თქვენ მტანჯავთ, ჩემო მშვენივრებო, თქვენ განა გესმით ეს?! მუდამ დასმურტლული ტანსაცმელი გაცვიათ და ქუდებიც გვერდზედ გაქვთ მოქცეული!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარხარ! მიყვარს სურნელება შენის ოთახისა, საპირფარეშოსი, შენის ლოგინისა! ამ გვარ სურნელებით გაჟღენთილია ხოლმე ხისა ქერქი, როდესაც თვით ხე ჯერ შეუდურცვლელია და მთელი მისი სურნელება მის გულში მარხია.

მიყვარხარ, როდესაც გსჯიან, და როდესაც მთლად ცრემლად იქცევი.

მოზრდილები ტირიან, პატარები კი მთლად ცრემლად გარდიქცევიან ხოლმე!

მიყვარხარ! შენ ჯერ ისევ ლიმილით სდგეხარ ცხოვრების კართან! მიყვარხარ! ხარ მფლობელი მსოფლიურ სიბრძნისა სანამ არაფერი იცი!

შენ ხარ პალატკო ათინისა! უმანკოებით სავსე შენ ზიხარ ხელუხლებლობის ნათელ ტახტზე! მიყვარხარ!

ოხ, მამცნე ის ღამე, როდესაც ულმობელი, გაუმაძღარი ბუნება უცბად გარდაექმნის შენ დედაკაცად!

მაშინ მსურს გაძოვეთხოვო ამ ჩემ სიყვარულს!..

—:—

მძულხარ, ღვთაებრივო! მძულს შენი ფარჩის ლამაზი ხალათი, რომლის ქვეშაც ვამჩნევ შენს ღელვის მსგავს სუნთქვას და რომელიც ჩემ გრძნობათა „ბერჰნულ ლიმილს“ ბარბაროსის სიმკაცრედ ჰქმნის.

მძულხარ!

შენი სიტყვების უსაზღვრო ძალა, რომელიც ხან ფერს მიკრთობს და ხან მაწითლებს, რომელიც მხდის ხან ავადმყოფად და ხან ჭარმაგად, ხან ბრძენად და ხან უგუნურად.

მძულს შენი სილამაზე, მძულს შენი ხმის ნაზი წკრიალი, რომელიც ბეთხოვენის სიმფონიებს ჩემთვის არარად ჰხდის და ჩემ ყურთა-სმენას უკარგავს ძალას, რომ მოისმინოს მსოფლიო ხმები!

მძულხარ!

მძულხარ შენ! შენ, რომელიც ასეთის მზრუნველობით იფარავ ჩემს მსოფლიო ძალებს, იმ ძალებს, რომელნიც მიისწრაფვიან, რომ გასწყდნენ, დაიღუპნონ!

მზრუნველო! გონიერო! მძულხარ! მძულხარ ჩემი სულის დამგმობო! მძულხარ, როდესაც ჩაჩურჩულებ „მოდი კიდევ“.

მძულხარ როცა მემუდარები: „დარჩი ჩემთან“.

იმიტომ რომ მე მივდივარ და შენთან კი ვრჩები! საზღვარო ჩემის უსაზღვრობისა!

მძულს შენი სათნოება, რომელიც მაღელვებს, მძულს შენი უპოვრება, რომელიც არასოდეს არ შეურაცმყოფს!

მძულხარ როცა წითლდები და ბედნიერად მხდი, და მძულხარ როცა ჰყვითლდები და გულს მიწუხებ!

მძულხარ იმიტომ, რომ შენს საყვარელ სახეზედ ნალვლით აღსავსე ვკითხულობ ხოლმე მძიმე წუთების კვალს!

**შალვა ტატიშვილი.**



ჩვეულებრივი მოვლენა.

ა. ჯაბადარი. — (გულ-დაწყვეტილი) [მშვიდობით] ჩემო, [ნაამაგდარო ამხანაგობავ!

მუყაითი მომუშავენი, ანუ სამშობლოს სამსახური.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხონდულაშვილი. ელექტრო-მბეჭდავი ხელმბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 8